გადაწყვეტილება

N გ-20-19/718
24/09/2020

718-გ-20-1-4-202009241442

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 2 ივლისის № გ-20-7/538 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (ს.კ. №205224700) კომისიას მიმართა განცხადებებით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-20-7/4508, 03.09.20) ქ.თბილისში დეციმეტრულ დიაპაზონში მინიჭებული სიხშირის **415.675 მჰც** (ზოლის სიგანით 25 კჰც) მეტრული დიაპაზონის სიხშირით შეცვლის თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2020 წლის 2 ივლისის № გ-20-7/538 გადაწყვეტილებით სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № **F 2345** უფლება და მიენიჭა სიხშირე - **415.675 მჰც** (ზოლის სიგანით 25 კჰც) ქ. თბილისში, ერთი წლის ვადით - 2020 წლის 11 ივლისიდან 2021 წლის 11 ივლისამდე.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის 2020 წლის 10 სექტემბრის № 20-10-1835 სამსახურებრივი ბარათის თანახმად სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შესაძლებელია მიენიჭოს სიხშირე **152.450 მჰც** (ზოლის სიგანით 25 კჰც) **415.675 მჰც** სიხშირის ნაცვლად, ქ. თბილისში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2020 წლის 2 ივლისის № გ-20-7/538 გადაწყვეტილებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიენიჭოს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება № **F 2345** შემდეგი პირობებით: სიხშირე - **152.450 მჰც** (ზოლის სიგანით 25 კჰც) ქ. თბილისში, ერთი წლის ვადით - **2020 წლის 11 ივლისიდან 2021 წლის 11 ივლისამდე,** ოპერატიული რადიოკავშირისთვის, არაავტორიზებადი საქმიანობისთვის, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით;“;

2. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გაგზავნა (ნ.ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);

3. დაევალოს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გადაწყვეტილების მიღებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოს კომისიის რადიო-ელექტრონული მოწყობილობების რეესტრში, ამავე რეესტრით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონული წესით ასახვა (ვებ მისამართი: http://reestri.comcom.ge/); რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრით გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილება რეესტრში ასახულ იქნას ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

4. დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა) და სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (ქ. სულიაშვილი) სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მინიჭებული სიხშირეების კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა) და სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი